საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

გადაწყვეტილება N 882015139465-05 (16.04.2015)

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ

თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს წარედგინა განცხადება (No. 882015139465; 13 მარ 2015; განმცხადებელი: იბა 'აბანოთუბანი 2006', მისამართი:). განცხადებით მოთხოვნილია საკუთრების უფლების რეგისტრაცია მშენებარე მრავალბინიან/მრავალერთეულიან უძრავ ნივთზე , მდებარე ქალაქი თბილისი , გრიშაშვილის, ახუნდოვის და ფირდოუსის ქუჩებს შორის (ფირდოუსის 5)მეორე სადარბაზო,ბინა 11 (47.1 კვ.მ) [ზონა:თბილისი, სექტორი:კრწანისი]

განცხადებაზე თანდართულია:

1. წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
2. ხელშეკრულება N140317921 ცვლილება N3
3. თანხმობა N150039542 (მინდობილობა იხ საქმეში N882014306802)
4. თანხმობა (სამი)
5. უძრავი ქონების გაყოფის ცვლილება იხ. განცხ. N882014176322
6. ბრძანება N1635999 იხ საქმეში N 882014702804

დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ N1825597 ბრძანებით ცვლილება შევიდა N1635999 ბრძანებაში და ახალი ბრძანებით მითითებული ფართების ჯამი არ შეესაბამება N1635999 ბრძანებაში მითითებულ საერთო ფართების ჯამს, აქვე გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრში არსებული მონაცემების თანახმად ი.ბ.ა. "აბანოთუბანი 2006"-ის , ID ნომერი:204520562 საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, რეგისტრირებულია ი.ბ.ა. "აბანოთუბანი 2006"-სა და მშენებარე ერთულების მომავალ მესაკუთრეებს შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებებით გათვალისწინებულებული ვალდებულებები, საიდანაც ზოგიერთმა მათგანმა განახორციელა მათი სამომავლო საკუთრების უფლების გასხვისების რეგისტრაცია და არ დგინდება მოხდა მათ სამომავლო საკუთრებაში არსებული ფართების სრულად თუ ნაწილის გასხვისება. (არ დგინდება აღნიშნული პირები დარჩნენ ამხანაგობის წევრებად თუ გავიდნენ)
განცხადებით მოთხოვნილი უფლების რეგისტრციისთვის დამატებით წარმოსადგენია: 1.კორექტირებული ბრძანება 2. იმ პირების საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამომწებული თანხმობა რომლებმაც განახორციელეს თავიანთ სამომავლო საკუთრებაში არსებული ფართების გასხვისების რეგისტრაცია. 3. საპროექტო დოკუმენტაციასა და საჯარო რეესტრის ჩანაწერებთან შესაბამისობაში მყოფი, საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი ფართების განაწილების შესახებ, რომელიც ხელმოწერილი იქნება,როგორც ი.ბ.ა. "აბანოთუბანი 2006"-ის უფლებამოსილი პირის ასევე ყველა რეგისტრირებული მომავალი მესაკუთრის მიერ.

"საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის 21–ე მუხლის შესაბამისად შეჩერდეს სარეგისტრაციო წარმოება და შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოსადგენად განისაზღვროს ვადა: 30 კალენდარული დღე. აღნიშნულ ვადაში დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდება და გადახდილი მომსახურების საფასური უკან დაბრუნებას არ დაექვემდებარება.

განმარტებითი ბარათი

თქვენს მიერ ი.ბ.ა. "აბანოთუბანი-2006"-ისთვის გაცემულია ბრძანებები N1635999 და N 1825597; ამ ბრძანებების მიხედვით საჯარო რეესტრში, ჩვენი განცხადების საფუძველზე განიხილება მშენებარე ობიექტში ფართების განშლის რეგისტრაციის საკითხი. საჯარო რეესტრის მიერ აღმოჩენილი იქნა ამ ორ ბრძანებას შორის შეუსაბამობა (იხილეთ რეესტრში საკითხის წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების ასლი). კერძოდ: ბრძანება N1635999-ში, ჩვენს მიერ მოთხოვნილი იქნა -3.30 მ. ნიშნულზე არსებული სარდაფების ფართი დარეგისტრირებულიყო ავტოსადგომების და სარდაფების ფართებად ცალ-ცალკე, პროექტის შესაბამისად. ასევე მოთხოვნილი იქნა საზაფხულო ფართში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ საზაფხულო ფართი უნდა ყოფილიყო 746 მკვ, ნაცვლად ამ ბრძანებაში დარეგისტრირებული 745,7 მკვ-ისა. ბრძანება N 1825597-ში გათვალიწინებული იქნა ჩვენი მოთხოვნები, რომელიც გაიცა 06/04/2015-ში. საჯარო რეესტრმა მოითხოვა აღნიშნულ ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება, შენობის საერთო ფართის კორექტირებით. კერძოდ 5767,5 მკვ-ს ნაცვლად ბრძანებაში უნდა იყოს 5750,0 მკვ.

უმორჩილესად გთხოვთ შესაძლებლობის ფარგლებში, უმოკლეს დროში გაგვისწოროთ აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი და მოგვცეთ შესწორებული ბრძანება.

პატივისცემით,

ი.ბ.ა. "აბანოთუბანი-2006"-ის თავჯდომარე ლეილა ღვანიძე